ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 19 მარტი, 2021 №45 (8574) ფასი: 60 თეთრი

„გოგი წულაიამ ა.დ.-ს მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა“

პროკურატურამ პოლიტიკოსს ბრალი წარუდგინა

გვ.5

„პარლამენტის ბოიკოტს დასავლეთი მხარს არასდროს დაუჭერს“



სალომე სამადაშვილი: „პოლიტპატიმრების გათავისუფლების გარეშე შეთანხმება ვერ შედგება, ვადამდელამდე მისასვლელ გზებს ვეძებთ“

გვ.2

გვ.3

„პოლიტპატიმრების განთავისუფლება და ვადამდელი არჩევნები, ეს „ოცნების“ ხელისუფლების დაკარგვაა“

გედევან ფოფხაძე: „ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმია, მეორე პოლიტიკური ცენტრი ვერ იარსებებს, არათუ მესამე“

აკაკი მინაშვილი: „ქართული ოცნების“ რიტორიკა ძალიან აგრესიულია“

გვ.2

გვ.2

ანა ნაცვლიშვილი: „ერთ რომელიმე პუნქტზე შეთანხმება პრობლემას ვერ გადაჭრის“

სერგეი შამბა: „საქართველოსთან საპაჭრო ურთიერთობები არ მომითხოვია“

სოხუმი თბილისთან მრავალდონიან მოლაპარაკებებს აღარ ითხოვს?

გვ.3

დავით ლორთქიფანიძე: „ოპოზიციას სასამართლოს რეფორმირება არ აინტერესებს“

გვ.4

გვ.5

შს მინისტრის მოადგილემ სიახლეებისა და უახლესი მონაცემების შესახებ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო

ISSN 1987-9385

4 ასტრაზენეკას ვაქცინის გაკეთების შემდეგ ექთანი ახალციხეში კომაში ჩავარდა

3 ანრი ოხანაშვილი: „ჩვენ ისეთ შეთავაზებას ვაკეთებთ, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებსაც სახეს შეუნარჩუნებს“

5 30 წლის დ.კ.-მ ნიკა მელიას პლაკატს მანქანიდან ესროლა და კახეთში გაიქცა

შსს-მ ის დააკავა

6 ბაიდენმა პუტინს მკვლელი უწოდა

პუტინმა ბაიდენს ჯანმრთელობა უსურვა

„პარლამენტის ბოიკოტს დასავლეთი მხარს არასდროს დაუჭერს“

სალომე სამადაშვილი: „პოლიტპატიმრების გათავისუფლების გარეშე შეთანხმება ვერ შედგება, ვადამდელამდე მისასვლელ გზებს ვეძებთ“

იაგო ნაცვლიშვილი

ევროკავშირის მედიაციით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გრძელდება მოლაპარაკებები, თუმცა ხელშესახები შედეგები ჯერ არ ჩანს. მხარეები ამბობენ, რომ ძალიან მძიმე შეხვედრებია, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ რაღაც საკითხებზე პოზიციები დაახლოვდა. თუმცა პოზიციებზე თანხვედრა ჯერ ისევ არაა ორ მთავარ საკითხზე – ვადამდელ არჩევნებსა და პოლიტპატიმრების თემაზე.

გადაიდგა თუ არა პოზიციების დაახლოების თვალსაზრისით თუნდაც ერთი ნაბიჯი, მიმდინარეობს თუ არა შეხვედრები კამათის ფონზე, რამდენად კონსტრუქციულად იქცევა მმართველი პარტია და რამდენად მოსალოდნელი იყო ოპოზიციისთვის ბრიუსელში გაჟღერებული განცხადებები? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **სალომე სამადაშვილი** საუბრობს, რომელიც თავადაც მონაწილეობს აღნიშნულ ფორმატში.

– მოლაპარაკებები გრძელდება, თუმცა შეთანხმებამდე შორია. თქვენ ესწრებოდით ამ შეხვედრებს და შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ მხარეთა პოზიციები თუნდაც ერთი ნაბიჯით მაინც დაუახლოვდა ერთმანეთს?

– ამ მოლაპარაკებების დინამიკა ისეთია, რომ სხვადასხვა საკითხებზეა ლაპარაკი, რაღაც საკითხებზე მხარეების შეთანხმება მოხდა, მაგრამ რაც შეეხება ორ მთავარ საკითხს – აქ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და რამდენად შესაძლებელი იქნება, რომ პოზიციები დაუახლოვდეს ერთმანეთს. იმიტომ, რომ ცხადია, ამ ორი საკითხის გარეშე ვერ შედგება შეთანხმება. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ უფრო ნათელი სურათი გამოიკვეთება დღეს.

არ ვარ დარწმუნებული, რომ დღეს ამოიწურება ეს პროცესი, მაგრამ ალბათ გამოიკვეთება დინამიკა. იმისათვის, რომ შეთანხმება შედგეს, ცხადია, რომ ორივე მხარეს მოუწევს კომპრომისზე შეთანხმება და მოძებნა ისეთი ფორმულის, რომელზეც ყველა მხარეს შეუძლია, რომ შეთანხმებას ხელი მოაწეროს. მოლაპარაკების მიზანი ეს არის, რომ მიღწეული იყოს ისეთი გამოსავალი, რომელიც ყველა მხარისთვის იქნება მისაღები.

– რა არის ის წყალგამყოფი, რასაც „ოცნება“ არ ეთანხმება და მზად არიან თუ არა ისინი, რომ ისაუბრონ ვადამდელი არჩევნების კონტექსტში?

– იცით, რომ ოპოზიციის პოზიცია იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ მნიშვნელოვანია ჩვენ შევთანხმდეთ ვადამდელ არჩევნებამდე მისასვლელ გზაზე. ამიტომ, ეს არის ყველაზე რთული საკითხი ამ მოლაპარაკებების საკითხში. თუმცა, საზოგადოებაში რაიმე გაუგებრობა რომ არ დარჩეს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო ისიც, რომ პოლიტპატიმრების – ნიკა მელიას და გიორგი რურუას გარეშე ვერანაირად ვერ მოხდება შეთანხმება. ეს არის გასაღები იმისთვის, რომ შეთანხმება საბოლოოდ იყოს შესაძლებელი.

– დაინახეთ თუ არა კონსტრუქციულობა „ოცნების“ მხრიდან უშუალოდ იმ შეხვედრებზე?

– მე ვფიქრობ, რომ შეთანხმების საბოლოოდ გაფორმებასთან მიმართებაში ვინც ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობენ, მგონია, რომ გადაწყვეტილებების მიმღებები არ არიან. ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში მათ უწევთ ყველა გადაწყვეტილების შეთანხმება ბიძინა ივანიშვილთან. დარწმუნებული ვარ, რომ დამოუკიდებლად არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებენ. ამიტომ, მე ვიტყოდი, რომ ამ შემთხვევაში რას გადაწყვეტს ივანიშვილი. მისი პირადი ინტერესების და მომავლის თვალსაზრისით თუ რა უფრო დამაზიანებელია მისთვის – დატოვოს ამ მოლაპარაკებებში ხელცარიელი ევროკავშირი თუ წავიდეს იმგვარ კომპრომისზე, რომ შეთანხმება იყოს შესაძლებელი.

– დეტალებს, ვიცი, რომ არ იტყვით და არც გეკითხებით, მაგრამ ხომ არ გიწევთ რაღაც საკითხებზე საუბარი კამათის ფონზე?

– თავისთავად ცხადია, რომ როდესაც განსხვავებული პოზიციები აქვთ მხარეებს, მოლაპარაკებები არ არის მარტივი. წინააღმდეგ შემთხვევაში მედიაციის ჩართვა არ იქნებოდა აუცილებელი. მაგრამ ვფიქრობ, რომ ორივე მხარემ უნდა გამოიჩინოს სიბრძნე. ვინც მეტ სიბრძნეს და მეტ სახელმწიფოებრივ აზროვნებას გამოაჩენს ამ პროცესში, ვფიქრობ, რომ საზოგადოებაც ადეკვატურად უპასუხებს ამას. იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ძალიან დაიღალა ამ პროცესით. ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე საზოგადოების უდიდეს ნაწილს აქვს სურვილი, რომ შეთანხმება შედგეს პოლიტიკურ აქტორებს შორის და ქვეყანამ შეძლოს ამ კრიზისიდან გამოსვლა რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით.



– ბრიუსელში გაკეთებული განცხადებები თქვენთვის მოსალოდნელი იყო და ოპოზიციისთვისაც ხომ არ არის გარკვეული საკითხები ყურადსაღები. მაგალითად, ითქვა, რომ არჩევნები არ გაყალბებულა. ეს მოულოდნელი იყო თქვენთვის?

– არა. არა მგონია, რომ ვინმესთვის მოულოდნელი ყოფილიყო ის შეფასებები, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ ბრიუსელში. იმიტომ, რომ ეს ის შეფასებებია, რომელიც ადრეც გაკეთებულა. მოდი ვთქვათ, რომ საპარლამენტო ბოიკოტს დასავლეთის მხარდაჭერა არასდროს არ ჰქონია. მე ხშირად მითქვამს. არაფერი ისე ხშირად არ მითქვამს, როგორც ეს, რომ დასავლეთის მხრიდან არასდროს არ იქნება მხარდაჭერილი საპარლამენტო ბოიკოტი. იმიტომ, რომ ეს მათ არ მიაჩნიათ სწორად. ამიტომ ის, რომ მოწოდებები გაისმა იმაზე, რომ პროცესი პარლამენტში უნდა გაგრძელდეს, ეს ნამდვილად არ ყოფილა მოულოდნელი. არც არასდროს არავის უთქვამს სხვა.

რაც შეეხება არჩევნებს. ეუთოს დასკვნა იყო ის, რაც იყო. მე ვფიქრობ, რომ ამ დასკვნაში ბევრი პრობლემა დაფიქსირდა და დაფიქსირდა ის, რომ ამ არჩევნებმა ვერ შექმნა ნდობა საარჩევნო პროცესის მიმართ და ამიტომ არის ის, რომ უამრავი რეკომენდაცია შემუშავდა იმის შესახებ თუ როგორ უნდა შეიცვალოს საარჩევნო კოდექსი. შესაბამისად, მოლაპარაკებებზე, სადაც ოპოზიცია ზის, ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ ამ ყველაფრის შეცვლაა. ვადამდელი არჩევნები რომ დაინიშნოს ხვალ ამ საარჩევნო პირობებში, ის არაფერს არ შეცვლის.

ჩვენ ასევე მოვისმინეთ ის, რაც მთავარი პრობლემაა, ეს არის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის პრობლემა. ეს იყო ის გზავნილები, რაც ჩვენ ხშირად გაგვიგია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისგან. ჩვენ ასევე მოვისმინეთ ის, რომ ნიკა მელიას დაპატიმრება შეცდომა იყო. იყო მოწოდება ხელისუფლების მიმართ, რომ თავი შეიკავოს პოლიტიკური ოპონენტების დევნისგან.

– თუმცა, ტერმინი „პოლიტპატიმარი“ გამოყენებული არ ყოფილა.

– იცით რა? დასავლეთის პოზიციაა, რომ ხელი შეუწყოს მხარეებს შორის შეთანხმებას. მათი სურვილია მედიაციისა და ვფიქრობ, საჯარო განცხადებებით არ სურთ, რომ ხელი შეეშალოს მედიაციის პროცესს. თუმცა, დახურულ კარს მიღმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბევრად უფრო მკვეთრი გზავნილების მოსმენაც მოუწია.

ამასთან მომავალ კვირას აშშ-ის სენატიც გეგმავს სპეციალურ მოსმენას საქართველოში დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ. საგარეო საქმეთა კომიტეტში მოხდება ეს, რაც აჩვენებს, რომ უპრეცედენტოა და აჩვენებს, რამხელა შეშფოთებაა დასავლეთში საქართველოში შექმნილ ვითარებასთან მიმართებაში.

აკაკი მინაშვილი: „ქართული ოცნების“ რიტორიკა ძალიან აგრესიულია“

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, აკაკი მინაშვილის განცხადებით, მას „ქართული ოცნების“ რიტორიკიდან და ქცევიდან გამომდინარე, მმართველი გუნდისა და ოპოზიციის ლიდერების დღევანდელი შეხვედრიდან არავითარი მოლოდინი არ აქვს.

ამის შესახებ მან ჟურნალისტებს განუცხადა.

– არავითარი მოლოდინი არ მაქვს, იქიდან გამომდინარე, რა რიტორიკა გააჩნიათ და როგორ იქცევიან ჩვენი ოპონენტები „ქართული ოცნებიდან“. მათ ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვთ. რიტორიკა ძალიან აგრესიულია და, ბუნებრივია, მოლაპარაკებას არ უწყობს ხელს. მე, ჯერჯერობით, მათში ვერ ვხედავ ხედვას, რომ მათ აქვთ სურვილი ქვეყანა მძიმე კრიზისიდან გამოიყვანონ. თუ „ქართული ოცნების“ რომელიმე წარმომადგენელს თუნდაც აქვს იმის ნატამალი, გაითვალისწინოს ჩვენი მოქალაქეებისა და ქვეყნის ინტერესები, ისინი პოლიტპატიმრების გამოშვებასა და ვადამდელი არჩევნების ჩატარებას დათანხმდებიან.

მარტივად რომ შევხედოთ. პირველ რიგში, ყველა აღიარებს, რომ ქვეყანაში არის კრიზისი და კრიზისი უნდა გადაიჭრას ასე – გამოვიდნენ პოლიტპატიმრები, ნიკა მელია და გიორგი რურუა, დასრულდეს პოლიტიკური დევნა ქვეყანაში, შემდეგ უნდა ჩატარდეს მნიშვნელოვანი საარჩევნო და სასამართლო რეფორმა. ამას უნდა მოჰყვეს სწრაფი ვადამდელი არჩევნები. ეს არის კრიზისის გადაწყვეტის გზა. ერთი შეხედვით, მარტივია.

ისინი არ ფიქრობენ ქვეყანაში ვითარების გამოსწორებაზე და ფიქრობენ ძალაუფლების შენარჩუნებაზე. ამიტომ არიან ვადამდელი არჩევნების უარზე. ეშინიათ, ფიქრობენ, ალბათ მართებულადაც, რომ ამ არჩევნებში წააგებენ. – განაცხადა მინაშვილმა.

ჩვენ ვაკეთებთ ისეთ შეთავაზებას, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებსაც სახეს შეუნარჩუნებს, – ამის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა ჟურნალისტებთან მოლაპარაკებებთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, არსებობს რესურსი, რომ პოზიციები დაახლოვდეს. როგორც ოხანაშვილი აღნიშნავს, მათ აქვთ სამართლიანი შეთავაზებები, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის უკეთეს ხვალინდელ დღეზე.

ანა ნაცვლიშვილი: „ერთ რომელიმე პუნქტზე შეთანხმება პრობლემას ვერ გადაჭრის“

– როგორც ყოველთვის, „ქართული ოცნების“ ტაქტიკა და სტრატეგია არის პრობლემების არაღიარება ან სხვისთვის გადაბრალება.

ამის შესახებ პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრმა ანა ნაცვლიშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა.

მისი შეფასებით, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია შექმნილი, რასაც „ქართული ოცნება“ არ აღიარებს.

– ალბათ, მტკივნეულია აღიარება, მაგრამ ფაქტია, ყველა ჩვენი დასავლელი პარტნიორი, როგორ შეფასებასაც არ უნდა აკეთებდეს არჩევნებთან მიმართებით, აღიარებს, რომ შექმნილია პოლიტიკური კრიზისი, რომელიც უნდა გადაიჭრას. ირაკლი კობახიძე ამ კრიზისის არსებობასაც არ აღიარებს. ის იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია, რომელიც ქვეყანაში პრობლემების არსებობას არ აღიარებს. რა ვქნათ, მისი ტესტით გავზომოთ?!

როგორც ყოველთვის, „ქართული ოცნების“ ტაქტიკა და სტრატეგია არის პრობლემების არაღიარება ან სხვისთვის გადაბრალება, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

მისი შეფასებით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები არ არის იმისთვის, რომ „ვიღაცამ ვიღაცას ხელი გადაუგრიხოს“.

ანა ნაცვლიშვილის თქმით, თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ შედგება, საქართველო ძალიან რთულ ვითარებაში აღმოჩნდება.

– ყველა საკითხზე უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას. ცალკე ამოგლეჯილად, ამაზე მივაღწიე შეთანხმებას და იმაზე არა, ასე შეთანხმება ვერ მოხდება, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

მისი შეფასებით, მოლაპარაკებების პროცესში პოლიტიკურმა ოპოზიციამ გაცილებით უფრო მაღალი კლასი აჩვენა, ვიდრე ხელისუფლებამ, რადგან განსხვავებული პოზიციების, ღირებულებების, იდეოლოგიისა და, რაც მთავარია, წარსულის მიუხედავად, ისინი გაერთიანდნენ.

როგორც ანა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, მოლაპარაკებების მაგიდაზე არსებული ე.წ ჩარჩო დოკუმენტის ყველა პუნქტი მნიშვნელოვანია.

მისი თქმით, ქვეყანა ისეთ ღრმა კრიზისშია, რომ მარტო ერთ რომელიმე პუნქტზე შეთანხმება პრობლემას ვერ გადაჭრის.

პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ ელისო ბოლქვაძე აირჩიეს

დეპუტატი ელისო ბოლქვაძე პარლამენტში ახალშექმნილი კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა.

ბოლქვაძე კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა და პარლამენტმა 80 ხმით დაამტკიცა.

კულტურის სფერო პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის ფარგლებში შედიოდა, თუმცა „ქართულმა ოცნებამ“ კულტურის მიმართულების ცალკე კომიტეტად ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მიიღო. ამით პარლამენტში მე-16 კომიტეტი შეიქმნა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„პოლიტპატიმრების განთავისუფლება და ვადამდელი არჩევნები, ეს „ოცნების“ ხელისუფლების დაკარგვაა“

გედევან ფოფხაძე: „ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმია, მეორე პოლიტიკური ცენტრი ვერ იარსებებს, არათუ მესამე“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის თქვენ რამდენად ელოდებით შეთანხმებას?

– შეთანხმება ძნელად წარმოსადგენია, რადგან „ქართულ ოცნებას“ ამ სიტუაციაში არაფრის დათმობა არ აწყობს. დასავლეთი თუ სანქციის თემას წამოწევს, ხელისუფლება ამაზეც წამსვლელია, რადგან მთავარი ძალაუფლების შენარჩუნებაა. პოლიტპატიმრების განთავისუფლება და ვადამდელი არჩევნები, ეს ხელისუფლების დაკარგვაა. „ქართული ოცნება“ დათმობაზე ვერ მიდის და თუ წავა, იცის, ხელისუფლებას დაკარგავს. ამიტომ, შეთანხმებას არ ველოდები.

– „ქართული ოცნება“ თავის ქცევაში რამეს შეცვლის?

– ვერ შეცვლის. მეტიც, რაც დრო გავა, უფრო აგრესიული გახდება. პოლიტპატიმრების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. უფრო მეტი კონფრონტაცია და დაძაბულობა იქნება. უფრო გაიზრდება ფრაზები: „სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და ჩვენ რა შუაში ვართ“! „კანონის უზენაესობა უნდა დავიცვათ“! და ა.შ. თან ეს ადამიანები, კობახიძე, თალაკვაძე ხომ არ არიან უფლებამოსილნი, გადაწყვეტილებები მიიღონ. ეს იძულებითი მოლაპარაკებებია. მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთი არ გადაირიოს. მთავარი გადაწყვეტილების მიმღები, ცხადია, ბიძინა ივანიშვილია. ამიტომ, ამ მოცემულობაში ეს მოლაპარაკებები ფიქტიურ ხასიათს იღებს. ოპოზიცია კი მონაწილეობს იმიტომ, რომ სხვა გზა არ დარჩენია.

– ამ პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალი რა შეიძლება იყოს?

– ამ რეალობაში მხოლოდ ერთადერთი სცენარია: ხელისუფლების კიდევ მეტი აგრესია, რასაც მოჰყვება საზოგადოებაში სამოქალაქო დაპირისპირების და პროცესების კიდევ უფრო მეტი გამწვავება.

– გამორიცხავთ პროცესში ახალი აქტორების შემოსვლას? კალაძეს როდესაც ჰკითხეს, იქნება თუ არა ის თბილისში კვლავ მერობის კანდიდატი, თქვა, რომ შეიძლება არ იყოს. გახარიას წასვლასაც არავინ არ ელოდა, მაგრამ წავიდა. შეიძლება კალაძეც წავიდეს?

– კალაძე „ქართული ოცნებიდან“ რომც წავიდეს, ამით მაინც ვერ იცვლება პოლიტიკური მოცემულობა.

– რატომ?

– ოპოზიციურ ელექტორატში უნდა ეძებოს მომხრეები.

– „ქართული ოცნებიდან“ ვერ წაიყვანს?

– ძალიან ცოტას, უმნიშვნელოს.

გახარია ქვეყნის პრემიერი, ლეგიტიმაციის გარანტია და სიის პირველი ნომერი იყო. არჩევნებზე მან აიღო გარკვეული ხმები. ეს ფიგურა გავიდა პოლიტიკური ველიდან, მაგრამ ვერ შეცვალა პოლიტიკური მოცემულობა. ქვეყანაში ასეთ ფაქტორს უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. გახარია ოპოზიციაში დემონსტრაციულად რომ გადასულიყო, ამას კიდევ შეიძლებოდა რაღაც გავლენა მოეხდინა პროცესზე.

– ელოდებით უკვე ოპოზიციური ფლანგიდან გახარიას პოლიტიკაში დაბრუნებას?

– ახლა ვერაფერს შეცვლის. პოლიტიკაში თუ დაბრუნდება, ოპოზიციურ სივრცეში დაიწყებს მომხრეების ძებნას. „ოცნებაში“ მყოფი თავისი მომხრეები ვერ გადაიყვანა.

– ამით ამბობთ, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ამომრჩეველია?

– არა, ამით ვამბობ იმას, რომ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმია. სწორედ ავტორიტარიზმი ქმნის ამ მოცემულობას. ამომრჩეველი თავისუფალი ვეღარ არის. ბაღის მასწავლებელს შეიძლება მოსწონდეს კალაძე, მაგრამ ის კალაძეს ოპოზიციაში ვერ გადაყვება, საქმე ესაა.

– როგორ ფიქრობთ, მესამე ცენტრის ფორმირებას კალაძე ან გახარია შეძლებს?

– რა მესამე ცენტრი, როდესაც მეორე ცენტრი არ არსებობს. ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმია. არანაირი მეორე ცენტრი არ არსებობს. არსებობს ოპოზიცია, რომელსაც არსებობის უფლებასაც ხელისუფლება აძლევს, მაგრამ თუ დასჭირდება, შეიძლება საერთოდ გააქროს.

– როგორ?

– ბოლოს და ბოლოს, დააპატიმროს ოპოზიციის ლიდერები. სააკაშვილის რეჟიმისგან ამ რეჟიმს ერთადერთი რამ განასხვავებს, ის, რომ სახელმწიფოს განვითარების, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის ამბიცია, უბრალოდ, არ არსებობს. ამ მოცემულობაში, ცხადია, რომ მეორე პოლიტიკური ცენტრი ვერ იარსებებს, არათუ მესამე.

ანრი ოხანაშვილი: „ჩვენ ისეთ შეთავაზებას ვაკეთებთ, რომელიც პოლიტიკურ ოპონენტებსაც სახეს შეუნარჩუნებს“

– ჩვენ გვაქვს შეთავაზებული ისეთი სამართლიანი და ჩვენი ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული წინადადებები, სადაც ოპოზიციის როლი ძალიან კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ მათ ამ მოლაპარაკებების შემდგომ ის კი არ ისაუბრონ, რომ რაღაც დათმეს, ვინმემ რაღაც წააგო, არა – მათ შეუნარჩუნდეთ სახე როგორც პოლიტიკურ ოპონენტებს, რომლებმაც მიიღეს ხალხის ინტერესებსა და ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილება და მმართველი პარტიაც იყოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ძალა, რომელმაც შეძლო ოპონენტებთან, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, პოზიციების დაახლოება და ჯამში, ჩვენ ყველა გავერთიანდით ჩვენი ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის, – განაცხადა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ანრი ოხანაშვილმა.

მისი თქმით, ამის რესურსი არსებობს.

– ჩვენ არ შევთავაზებდით ისეთ წინადადებებს, სადაც გვექნებოდა მოლოდინი, რომ რაიმე ფორმით მოხდებოდა პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია. ჩვენი მთავარი საზრუნავი არის საერთო კონსენსუსი. ეს პროცესი არის დამახასიათებელი ევროპული ტიპის დემოკრატიებისთვის, რომ პოლიტიკურმა ოპონენტებმა შეძლონ პოზიციების დაახლოება და ეს არის პოლიტიკური სიმწიფის ერთგვარი დემონსტრირება.

ყველა პოლიტიკური სუბიექტი ამას ვერ გაუძლებს უბრალოდ და გუშინ იყო ამის ნათელი დემონსტრირება. ყველა პოლიტიკური სუბიექტი არ არის დემოკრატიული ფასეულობის ერთგული, არ არის მოწადინებული, იხელმძღვანელოს დასავლური ღირებულებებით და ამის ნათელი მაგალითი იყო შალვა ნათელაშვილის შემთხვევა. თუმცა, ის გაუძლებს ამ პროცესს, ვისაც ნამდვილად ანაღვლებს ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე და ვფიქრობ, ამის რესურსი არის, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

რატომ გაამკაცრა ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა

კობა გვენეტაძის განმარტება

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მიზეზს განმარტავს.

როგორც კობა გვენეტაძემ რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემა „საქმეში“ საკითხის კომენტირებისას განაცხადა, იქიდან გამომდინარე, რომ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების დასრულების შემდეგ, ფასების საერთო დონე შესაძლოა, კიდევ უფრო გაიზარდოს, ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებით შეეცდება, ფასების ზრდა გარკვეულწილად შეარბილოს.

– გვაქვს მოლოდინი, რომ სუბსიდირების ეფექტის გაჩერების შემდეგ, ინფლაცია იქნება უფრო მაღალი, ვიდრე გვქონდა თებერვლის ბოლოს და აქედან გამომდინარე მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, – აღნიშნა გვენეტაძემ.

მან ასევე ისაუბრა დოლარის ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე და აღნიშნა, რომ ეს აბსოლუტურად ბუნებრივია.

– ვალუტაში დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთზე რაც მოხდა, აბსოლუტურად ბუნებრივია, რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, პანდემიის გამო ამერიკის მარეგულირებელმა, ფედერალური რეზერვების ბანკმა შეამცირა და ახლა თითქმის ნულთან არის საპროცენტო განაკვეთი. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ საპროცენტო განაკვეთები დოლარში ყველგან შემცირდებოდა.

მეორე, როდესაც საუბარია იმაზე, რომ დოლარში აღებული სესხები არის რისკიანი, უკვე აღარ არის არანაირი სტიმული, არც ბანკებისთვის, რომ დოლარში გასცენ სესხები. იმიტომ, რომ თუ გადავხედავთ გაფუჭებული სესხების რაოდენობას ქვეყანაში, 6%-ით არის გაზრდილი ევროში, 4%-ით დოლარში და 2%-ზე ნაკლებია ლარში. ანუ, ეს ძალიან დიდი მოწყვლადობის წყაროა და ბანკებსაც, რა თქმა უნდა, ამ სიტუაციაში არ უნდათ ამ რისკების აღება და თუ გასცემენ, კიდევ უფრო მაღალი პროცენტით გასცემენ. ესეც აბსოლუტურად ბუნებრივია.

რა თქმა უნდა, დედოლარიზაციამაც მიიღო ამაში გარკვეული როლი და ძალიან კარგია, რომ ეს გაკეთდა, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 17 მარტს რეფინანსირების განაკვეთის 50 საბაზისო პუნქტით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო.

შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8.5 პროცენტით განისაზღვრა.

სერგეი შამბა: „საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობები არ მომითხოვია“

სოხუმი თბილისთან მრავალდონიან მოლაპარაკებებს აღარ ითხოვს?

მარიამ მჭედლიშვილი

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგი, 52-ე რაუნდი მარტის ბოლოს იგეგმება. შარშან ჟენევის დისკუსიები, ფაქტობრივად, ჩაშალა კოვიდ-19-ის პანდემიამ.

ოფიციალური თბილისი ამ მოლაპარაკებების გარეშეც ცდილობდა გაეპროტესტებინა ის განუკითხაობა, რომელიც ოკუპირებული რეგიონების გამყოფ ხაზებთან ხდება – ადამიანების გატაცება, ბორდერიზაცია, ჰუმანიტარული კრიზისი და ქართველების დისკრიმინაცია. ქართული მხარე ამ პრობლემებს მომავალ შეხვედრებზეც წამოსწევს.

თავისი პრეტენზიების წამოყენებას აპირებს ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი. ცხინვალში მიაჩნიათ, რომ რეგიონის უსაფრთხოებას ემუქრება ქართველების მიერ 2019 წლის აგვისტოში სოფელ წნელისთან აღმართული პოლიციის საგუშაგო. მათი მტკიცებით, ეს „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაა, პოსტი კი საშიშროებას ქმნის „საზღვრის მთელ პერიმეტრზე“, ამიტომ, ის უნდა გაუქმდეს.

ცხინვალი უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების პრობლემასაც დააყენებს, რომლის გადაჭრის დაპირება თბილისიდან ადრე მიიღო.

ცხინვალიცა და სოხუმიც თბილისისაგან ისევ მოითხოვენ ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების ხელმოწერას.

ჯერჯერობით, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს ჩართვით ერთადერთი ადგილია ოკუპირებულ რეგიონებთან დასალაპარაკებლად.

ბჟანია-ანქვაბი-შამბას ადმინისტრაციის ინიციატივა თბილისთან მრავალდონიანი მოლაპარაკებების თაობაზე ფაქტობრივად ჩავარდა.

იმის გამო, რომ აფხაზეთის „საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში“ ჩაიწერა მუხლი თბილისთან მრავალდონიან მოლაპარაკებებზე, სოხუმში ოპოზიციურად განწყობილმა ჯგუფებმა, მათ შორის, ომის ვეტერანებმა ორგანიზაციიდან „არუაა“ ბჟანია და მისი გუნდი მოღალატეობაში და ქართული პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულეს. გაისმის დე ფაქტო პრეზიდენტის პოსტიდან ასლან ბჟანიას გადადგომის მოთხოვნაც.

ბჟანია თანახმაა, რომ აფხაზეთის პარლამენტმა კონცეფციის სადავო მუხლი შეასწოროს და სხვა რედაქციით წარმოადგინოს.

განმარტებას ამ თემაზე ახლა აკეთებს აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანი სერგეი შამბა. მისი თქმით, „მრავალდონიანი სახელმწიფო“ ურთიერთობები თბილისთან ისედაც არსებობს. მაგალითად, ენგურჰესის ერთობლივად მართვის საკითხზე. თუ ეს ჩანაწერი კამათს იწვევს, მისი ამოღება შეიძლება.

ბჟანია-ანქვაბი-შამბას გუნდს ენგურგამოღმა სავაჭრო ურთიერთობის განვითარების მცდელობასაც აფხაზეთში ღალატად უთვლიან.

სერგეი შამბა უარყოფს, რომ მას თბილისთან სავაჭრო თანამშრომლობა უნდა:

– არ მითქვამს, რომ საქართველოსთან უნდა დავამყაროთ სავაჭრო ურთიერთობა. ეს იქნებოდა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება. თბილისი ამაზე არ წავა. იმაზე ვსაუბრობდი, რომ აფხაზეთში კონტრაბანდული გზით შემოსული საქონელი უნდა დაიბეგროს და გადასახადები ბიუჯეტში მიედინებოდეს. საქართველოსთან ვაჭრობა აკრძალულია. დაშვებულია 50 კილოგრამამდე ბარგის შემოტანა. ეს 50 კილოგრამი იზრდება ხოლმე. ამისათვის უნდა არსებობდეს გადასახადი, – აღნიშნა შამბამ.

მისი ინფორმაციით, ენგურიდან შემოსული ტვირთების 40% კონტრაბანდულია.

შამბასვე სიტყვებით, მალე მოსკოვში ჩავა პრეზიდენტი ასლან ბჟანია, რომელიც იმსჯელებს რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში უძრავი ქონების ყიდვის უფლების დაშვებაზე.

როგორც ცნობილია, რუსეთში უკმაყოფილებას იწვევს აფხაზეთში არსებული აკრძალვა რუსეთის მოქალაქეების მიმართ. უძრავი ქონების ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეებს.

შამბას მიაჩნია, რომ ეს ნორმა კორუფციის წყარო გახდა, ვინაიდან ქონების მყიდველები ხშირად მაქინაციებს და ქრთამებს იყენებენ.

ამასობაში ხორციელდება რუსეთ-აფხაზეთის პროგრამა ერთობლივი სოციალური და ეკონომიკური სივრცის შექმნის თაობაზე.

რუსეთი აფხაზეთის ენერგეტიკულ სისტემასაც ხელში იგდებს. აფხაზეთის ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი კრისტინა ოზგანი მოსკოვში იმყოფება. მან რუსეთის მთავრობაში უკვე განიხილა აფხაზეთის ენერგეტიკული დარგის მოდერნიზაციის საკითხი.

დავით ლორთქიფანიძე: „ოპოზიციას სასამართლოს რეფორმირება არ აინტერესებს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დავით ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დათო, ავტორიტეტული ევროპული სტრუქტურების უმაღლესი თანამდებობის პირები გვეუბნებიან, რომ ახლა შიდა დაპირისპირების, შიდა აშლილობის დრო არ არის. ყველამ ქვეყნისა და ხალხის ინტერესები პირველ ადგილზე უნდა დააყენოს და კომპრომისზე წავიდეს. თუ იცით, რა კომპრომისზე შეიძლება წავიდეს „ოცნება“?

– ახლა კი არა, არასოდეს არ არის ქვეყანაში აშლილობისა და არეულობის დრო. მით უმეტეს, ჩვენნაირი ტიპის ქვეყანაში, რომელიც პოსტსაბჭოური სივრციდან გამოვიდა და ახალფეხადგმული დემოკრატიაა. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში შიდა აშლილობის დრო ნამდვილად არ არის.

– რადგან არ არის შიდა აშლილობის დრო, მხარეები კომპრომისზე უნდა წავიდნენ.

– სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, რა კომპრომისზე შეიძლება წავიდეს ხელისუფლება. თუ ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრები კონკრეტულ მინიშნებებს აკეთებენ, ალბათ, მოლაპარაკების მაგიდასთან უფრო ჟღერდება. პირობაა დადებული, რომ მოლაპარაკებები სანამ არ დასრულდება, მანამ მოლაპარაკების ნიუანსების შესახებ არ საუბრობენ. ამიტომ ჩემთვის ძნელი იქნება იმის თქმა, მოლაპარაკებებში რა კომპრომისებზეა საუბარი. თუმცა, იმ პირობებში, რასაც ოპოზიცია აკეთებს, ალბათ, კომპრომისი ძალიან გაჭირდება.

– რას გულისხმობთ?

– ოპოზიცია ულტიმატუმის ენით საუბრობს. ამბობენ, თუ ორი პირობა შესრულდება, დანარჩენზე შემდეგ ვისაუბროთო. ეს ორი პირობა რიგგარეშე არჩევნების თარიღის მონიშვნა და ე.წ. პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებაა. შემდეგ დანარჩენ ოთხ პირობაზე შეიძლება ვიმსჯელოთო. ასეთი ფორმით საკითხის დაყენების პირობებში, არ მგონია, ხელისუფლებას დიდი არჩევანი ჰქონდეს.

ყველა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია და დამკვირვებლები აღიარებენ, რომ ქვეყანაში არჩევნები ჩატარდა თავისუფალ გარემოში და სამართლიანად. რა თქმა უნდა, იყო რაღაც ხარვეზები, მაგრამ ხარვეზების გარეშე არც ერთ ქვეყანაში არც ერთი არჩევნები არ ტარდება. ამ რეალობის გათვალისწინებით უნდა ვისაუბროთ და არა იქიდან, რასაც დღეს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები გვთავაზობენ.

– რას გთავაზობენ?

– აჭარიდან დაწყებული, კახეთით დასრულებული, ადამიანების რაღაც ჯგუფი მოძრაობს, რომელიც დილით ერთ ქალაქშია, შუადღეზე – მეორეში, საღამოს – მესამეში და თავიანთი პარტიული ტელევიზებით ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია. დღეს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის სურათი არ არის.

– აბა, როდის არის პოლიტიკური კრიზისი?

– პოლიტიკური კრიზისი არის მაშინ, როდესაც ქუჩაში ძალიან ბევრი ადამიანია, რომელიც ხელისუფლების გადაწყვეტილებებს აპროტესტებს. ჩვენ დღემდე მასობრივი პროტესტი არ გვინახავს. ხალხს კი არ მოვუწოდებ, ქუჩაში გამოვიდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი მათ არ გაჰყვა. პროტესტის ეს ფორმა ჩვენთვის ნამდვილად არ არის უცხო. რამდენიმე ათეული წელი ქუჩაში გვაქვს გატარებული. მათ, ვინც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოვდივართ. ამიტომ ქუჩის პროტესტი ჩვენთვის უცხო არ არის, მაგრამ დაჟინებით იძახოდე, პოლიტიკური კრიზისიაო და ამის ნიშნები გარეთ, სოციუმში არ ჩანდეს, ნამდვილად გასაკვირია.

– ბატონო დათო, ექვსი საკითხიდან ორი წითელ ხაზზე გადის, მაგრამ დანარჩენ ოთხი საკითხზე „ოცნება“ რას ფიქრობს? ვიცით, რომ პარლამენტი, მათ შორის, საარჩევნო რეფორმაზე უკვე მუშაობს. სხვა საკითხებთან დაკავშირებით რა ხდება?

– ეს საკითხები ცხოვრებამ მოიტანა. ისედაც გასაკეთებელი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ არც ერთ საკითხზე მათ საუბარი არ სურთ, გარდა განმეორებითი არჩევნებისა და ე.წ. პოლიტპატიმრების გათავისუფლებისა.

– უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის განცხადებაში ნათქვამია, რომ ერთ-ერთი საკითხი სასამართლოს რეფორმა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების გამწესების შესახებ კანონის ცვლილება უნდა იყოს. „ოცნება“ თუ არის მზად სასამართლოს ახალი რეფორმისთვის? ხომ გახსოვთ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევაზე როგორი ხმაური იყო ქვეყანაში?

– ცხადია, მახსოვს.

– თუ გაქვთ ინფორმაცია, სასამართლო რეფორმას „ოცნება“ დათანხმდება?

– რა თქმა უნდა, პოლიტსაბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას. ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, ნებისმიერი მიმართულებით რეფორმებს, განსაკუთრებით, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაზე – შემდგარი სახელმწიფოს სასამართლო სისტემა რომ დაიხვეწოს და არსებულ სასამართლო სისტემაში სერიოზული კორექტივები იქნას შეტანილი – ხელისუფლება წავა, ის, რაც საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, მისაღებია, გაიზიარებს. ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

თუმცა, არა მგონია, ოპოზიციას სასამართლოს რეფორმირება აინტერესებდეს. ოპოზიციას, პრაქტიკულად, სასამართლოს რეფორმის საკითხი არ აინტერესებს.

– ნაცმოძრაობისა და ოპოზიციის მხრიდან უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი კომისრის ჟოზეფ ბორელის კრიტიკას როგორ აფასებთ?

– ნაცმოძრაობისა და ოპოზიციის წარმომადგენლების კრიტიკა, რომ ბორელი საქმის კურსში არ იყო აქ რაზე საუბრობენ და, აქედან გამომდინარე, მისი განცხადებები გაუგებარი იყო, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია. წარმოუდგენელია ამ რანგის პოლიტიკოსი პრემიერ– მინისტრთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განცხადებას აკეთებდეს და არ ფლობდეს ინფორმაციას, არ იცოდეს, როგორ განცხადებას აკეთებს.

– ბორელს დასცინეს კიდეც, რუსეთში ვიზიტთან დაკავშირებით.

– ოპოზიციას ასეთი განცხადებები ნდობის ხარისხს არ მატებს. რუსეთთან დაკავშირებით, ალბათ, თვენახევრის წინ რუსეთში ბორელის ვიზიტს გულისხმობდნენ. მაგას ბორელი და სხვა ევროპელი პოლიტიკოსები როგორმე პასუხის გასცემენ, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსების დამოკიდებულება ბორელისა და ყველა იმ პოლიტიკოსის მიმართ, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, ჩვენი სახელმწიფოს განვითარებით არიან დაინტერესებული, ძალიან უხერხულია.

დარწმუნებული ვარ, დასავლეთისთვის მნიშვნელოვანია საქართველო, როგორც სახელმწიფო და არა ცალკეული პარტიების მიერ გაკეთებული განცხადებები. მით უმეტეს, როდესაც ეს განცხადებები საფუძველს მოკლებულია. არ შეიძლება სერიოზულად აღიქვამდნენ და აქედან გამომდინარე, ნეგატიურად განწყონ. ისინი მათთან პიროვნულ ურთიერთობებშიც არიან.

ნაციონალებს ევროპულ სტრუქტურებში სახალხო პარტიის სახით პარტნიორები ჰყავთ და ეს მაგათი „შინაური“ საქმეა. ამ საკითხების დარეგულირება-მოგვარებაში თვითონვე იქნებიან ჩართული. ევროპელ პოლიტიკოსებთან ურთიერთობის დარეგულირება მათი პრობლემაა, ჩემი ნამდვილად არ არის. საქართველოს მიმართ ევროპელების პოზიცია ვიცი, რომ პოზიტიურია.

ალეკო ელისაშვილი ლევან დავითაშვილს: „თქვენ ადგილზე თავის მოკვლაზე ვიფიქრებდი“

– არმიაში ასეთი წესი იყო, თუკი სარდლები ბრძოლას წააგებდნენ და ეს მათი დაშვებული შეცდომის ბრალი იყო, თავს იკლავდნენ ხოლმე – მე რომ სოფლის მეურნეობის მინისტრი ვყოფილიყავი, გერმანიას გამოეცხადებინა, ვისაც ჩვენს ბაღბოსტნებსა და ყანებში მუშაობა გინდათ, აგერ განცხადება შეავსეთო და ორ დღეში 100 ათას კაცს შეევსო, ალბათ, თვითმკვლელობაზე ვიფიქრებდი.

ამ სიტყვებით დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა 18 მარტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ლევან დავითაშვილს მიმართა, რომელსაც „მინისტრის საათის“ ფორმატში უსმენდნენ.

როგორც ელისაშვილმა განაცხადა, საქართველოში 30 წელია, არსებობს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მაგრამ არ არსებობს სოფლის მეურნეობა.

– განყენებული ციფრები და სტატისტიკა არ მაინტერესებს. ვარ ჩვეულებრივი მოქალაქე და მთავარი სტატისტიკა არის ის, როცა მაღაზიაში შევდივარ და მაქვს ასეთი არჩევანი: – ხახვი და ნიორი – თურქეთიდან, მანდარინი და ფორთოხალი საბერძნეთიდან, ხორცი – ბრაზილიიდან და ინდოეთიდან. რომელ სოფლის მეურნეობაზე ვლაპარაკობთ?! აქა-იქ თუ იპოვი რაღაცას ქართულს, – მიმართა დავითაშვილს ალეკო ელისაშვილმა.

მისივე თქმით, საჯარო რეესტრის მონაცემებით, სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწების 69%, მილიონ ჰექტარზე მეტი არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. როგორც ელისაშვილმა განაცხადა, სინამდვილეში ეს არის კორუმპირებული გამგებლების ხელში ჩავარდნილი მიწა, რომელსაც ძიძგნიან და საკუთარ მამიდაშვილ-ბიძაშვილებს აძლევენ.

– რატომ არის, რომ 30 წელია ისევ საბჭოთა კავშირი გვაქვს?! – იკითხა ელისაშვილმა.

„დღეს აცრა ურიგოდ ჩავიტარე“

სალომე ზურაბიშვილი ასტრაზენეკას ვაქცინით პირდაპირ ეთერში აიცრა

18 მარტს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ასტრაზენეკას ვაქცინა პირდაპირ ეთერში გაიკეთა.

პრეზიდენტს ვაქცინაცია ინფექციურ საავადმყოფოში ჩაუტარდა.

– დღეს აცრა ურიგოდ ჩავიტარე, რამეთუ არც პრეზიდენტს ეკუთვნის და მგონი, არც იმ ჯგუფში ვარ, რომელსაც ეკუთვნის. ჯერ ექიმების, ექთნების და იმ მედპერსონალის რიგია, რომლებმაც ეს თვეები ძალიან მძიმე გამოცდა გაიარეს. საჭიროა, ისინი დღეს აიცრან იმისთვის, რომ გადამდები არ იყვნენ და დაცულები იყვნენ, რამეთუ მათზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. მერე დაიწყება შემდეგი ჯგუფების რიგიც.

თუ გვინდა იმ ძალიან მძიმე ეკონომიკური შედეგებიდან გამოვიდეთ, რომელიც მოყვება მთელ მსოფლიოში კოვიდპანდემიას, აუცილებელია გამოვიყენოთ ის საშუალება, რაც მოგვეცა და მოგვეცემა, რამეთუ დავიცვათ საზოგადოება, ქვეყანა და გამოვიდეთ ამ კრიზისიდან. ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ გამოწვევასაც გადავლახავთ და კიდევ სხვასაც, – განაცხადა ზურაბიშვილმა ვაქცინაციის ჩატარების შემდეგ.

ასტრაზენეკას ვაქცინის გაკეთების შემდეგ ექთანი ახალციხეში კომაში ჩავარდა

18 მარტს ახალციხეში, კლინიკა „იმედში“ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთების შემდეგ ექთანი მეგი ბაქრაძე კომაში ჩავარდა.

ადგილზე მოხდა დაპირისპირებაც. ქალის ახლობლებმა კლინიკის მინები ჩაამტვრიეს.

მედდა ცუდად ვაქცინის გაკეთებიდან 15 წუთში გახდა.

მოგვიანებით ექთანი თბილისში გადმოიყვანეს და პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში დააწვინეს.

როგორც ექთნის ნათესავებმა ჟურნალისტებს პირველ საუნივერსიტეტო კლინიკასთან განუცხადეს, აქვთ ინფორმაცია, რომ პაციენტი მართვით სუნთქვაზეა.

– გვეუბნებიან, რომ მძიმეა. მართვით სუნთქვაზეა. როგორც ვიცი, აცრები ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ ალერგიული არ ყოფილა, – აღნიშნა ერთ-ერთმა ნათესავმა.

თავად მეგი ბაქრაძემ ვაქცინის გაკეთებამდე 1 საათით ადრე განაცხადა, რომ ვაქცინაციის პროცესი არ არის ისეთი საშიში, როგორც ამას ამბობენ. მედდამ ასევე აღნიშნა, რომ მრავალ მედიკამენტს შეუძლია უკუჩვენების გამოწვევა.

– ეს ვაქცინაცია გრძელდება, ჯანმომაც ასე გადაწყვიტა. მოვუწოდებთ ყველას, რომ გაიკეთოს ვაქცინა.

ზოგადად, ათას რამეს აქვს უკუჩვენება, ათას მედიკამენტს, ამიტომ არა მგონია, ასეთი საშიში იყოს, როგორც ახლა ამბობენ. ყველას მოვუწოდებ, გაიკეთოს ვაქცინა, – აცხადებდა კლინიკა „იმედის“ მედდა მეგი ბაქრაძე.

თეა გოდოლაძე: „ვაშლიჯვარი-ნუცუბიძის გზაზე მეწყრული პროცესები 2 კვირის წინ დაიწყო“

18 მარტს ვაშლიჯვარი-ნუცუბიძის დამაკავშირებელ გზაზე, სადაც ნაპრალებია გაჩენილი, სპეციალისტები იმყოფებოდნენ. სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დირექტორი, თეა გოდოლაძე ამბობს, რომ მეწყრის ჩამოსვლის საფრთხე რეალურია.

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეწყერი ახლა ჩამოვიდა, მაგრამ აუცილებლად ჩამოვა, ამის გაჩერება შეუძლებელია. რეალურად, არა მარტო ეს ტანი არის შესასწავლი, შესასწავლია მთლიანად გარემო, იმიტომ, რომ უხეშად არის გარემოში ჩარევა განხორციელებული.

ეს არის შედეგი არასწორი სამშენებლო პოლიტიკისა, რეგულაციების არქონის და ფაქტიურად გარიგებების დონეზე შესრულებული სამუშაოსი, რასაც ჩვენი სამუშაო ჯგუფი მუდმივად პედალირებს, რომ ასე არ შეიძლება მშენებლობა, განსაკუთრებით, ნუცუბიძის ამ ფერდზე, – განაცხადა თეა გოდოლაძემ.

მისი თქმით, პროცესები დაახლოებით 2 კვირის დაწყებულია.

– ექსცესომეტრები უნდა იყოს იქ დადებული და სხვა რანგის აპარატურა. რაც ვნახეთ, არის პალოები ჩარჭობილი და ეს პალოები არის დაძრული. უკვე მეწყრის ტანზეა გადასული.

ჩვენთვის საინტერესოა, როდის დაიწყო ეს პროცესი. ამის დაკვირვება, როდესაც ეს პალოები ერთმანეთს დაშორდა. რეალურად ეს არის ორი კვირის ამბავი, საოცარ დინამიკაშია უკვე მოსული, – თქვა გოდოლაძემ.

ინფორმაცია და ფოტომასალა, რომ დედაქალაქში ახალი მეწყრული პროცესები გააქტიურდა და საფრთხე დიდია, ფეისბუქით გავრცელდა.

გზის აღნიშნულ მონაკვეთზე მერიამ საავტომობილო მოძრაობაც აკრძალა.

„გოგი წულაიამ ა.დ.-ს მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა“

პროკურატურამ პოლიტიკოსს ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ძალადობით ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისთვის გოგი წულაიას ბრალდება წარუდგინა.

„2021 წლის 16 მარტს, გ.წ.-მ, რომელსაც მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა ა.დ.-სთან, სთხოვა მას თბილისში დაგეგმილ შეხვედრაზე გაჰყოლოდა და მოლაპარაკებაში დახმარებოდა.

ა.დ. შეთავაზებას დათანხმდა და იმავე დღეს, გ.წ.-სთან და ლ.ჟ.-სთან ერთად თბილისში ჩამოვიდა, სადაც ლ.ჟ.-მ გ.წ.-ს თხოვნით ბინა უქირავა მას, გასაღები გადასცა და თვითონ წავიდა.

აღნიშნულის შემდეგ გ.წ.-მ, იმ მიზეზით, რომ შეხვედრა მომდევნო დღის დილის საათებში ჰქონდა დაგეგმილი და ვინაიდან ახლოვდებოდა ე.წ. „კომენდანტის საათი“, ა.დ.-ს შესთავაზა ღამით მის მიერ ნაქირავებ ბინაში დარჩენილიყო. რადგან ა.დ.-სთვის ცნობილი იყო, რომ ბინაში ლ.ჟ.-ც უნდა დარჩენილიყო, გ.წ.-ს შეთავაზებას დათანხმდა.

ნაქირავებ ბინაში გ.წ.-მ ალკოჰოლური სასმელი დალია, რის შემდეგაც ღამის საათებში ა.დ.-სთან, ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ, სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა. ა.დ.-მ მას წინააღმდეგობა გაუწია და მსგავსი ქმედებების შეწყვეტისკენ მოუწოდებდა. მიუხედავად ამისა, გ.წ.-მ შებოჭა იგი და ძალადობით მისი ნების საწინააღმდეგოდ, ა.დ.-ს მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედება განახორციელა.

მას შემდეგ, რაც ა.დ.-მ ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია და პოლიციის გამოძახებით დაემუქრა, გ.წ.-მ მასზე ძალადობა შეწყვიტა. გ.წ.-ს მიერ განხორციელებული ძალადობის შედეგად, ა.დ.-მ სხეულის სხვადასხვა არეში – ორივე ხელის, კისრის და ზურგის არეში მრავლობითი დაზიანებები მიიღო და ძლიერი ფიზიკური ტკივილი განიცადა.

დაზარალებულის შეტყობინების საფუძველზე სამართალდამცველებმა გ. წ. შემთხვევიდან მალევე დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილით (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, ჩადენილი ძალადობით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4 წლიდან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

30 წლის დ.კ.-მ ნიკა მელიას პლაკატს მანქანიდან ესროლა და კახეთში გაიქცა

შსს-მ ის დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული დ.კ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით, კახეთში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 17 მარტს, დ.კ.-მ კახეთის გზატკეცილზე მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის ფასადზე არსებულ ბანერს ავტომობილიდან, პნევმატური იარაღიდან ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა დ.კ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი – პნევმატური პისტოლეტი, ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნები და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ნივთმტკიცებად ამოიღო.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 187-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას და სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს.

„გასაყიდად გლოკის 7 ცალი იარაღი და მჭიდები მისცა“

პოლიციამ 2 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ე.კ. და 1994 წელს დაბადებული თ.ხ. ცეცხლსასროლი იარაღის ჯგუფურად მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გასაღების ფაქტებზე დააკავეს.

დანაშაული 8-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ თ.ხ.-მ მართლსაწინააღმდეგოდ გასაღების მიზნით ე.კ.-ს 7 ცალი „გლოკის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდები გადასცა.

სამართალდამცველებმა ე.კ.-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ჩხრეკისას 7 ცალი „გლოკის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდები ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღის ჯგუფურად მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

ნალენჯიხაში 80 წლის ქალი ხანძარს ემსხვერპლა

ნალენჯიხის მუნიციპალიტეტში, საცხოვრებელ სახლში ხანძარს 80 წლამდე ქალი ემსხვერპლა. შემთხვევა 18 მარტს მოხდა.

ასაკოვანი ქალი სახლში მარტო ცხოვრობდა.

ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია.

ზუგდიდში თურქულ კომპანიას მანქანა მოპარეს და ნაწილებად დაშალეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო, ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ავტომობილის ქურდობის ბრალდებით 3 პირი: 1993 წელს დაბადებული გ.ჭ. 1977 წელს დაბადებული მ.შ. და 1991 წელს დაბადებული ლ.შ. დააკავეს.

დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 8 მარტს, ბრალდებულები თურქული კომპანიის კუთვნილი „ნისან ნავარას“ მარკის ავტომობილს ქალაქ ზუგდიდში ფარულად დაეუფლნენ და სოფელ ახალსოფელში, ერთ-ერთი ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში გადამალეს. სადაც, შემდგომ რეალიზაციის მიზნით, ავტომობილი ნაწილებად დაშალეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ნაქურდალი ავტომობილი დაშლილ მდგომარეობაში და მისივე ნაწილები.

სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„რა ეგონა იმ ქალს, ჭადრაკის სათამაშოდ მიჰყავდა?“

გოგი წულაიამ შიმშილობა დაიწყო

18 მარტს გოგი წულაიამ შიმშილობა დაიწყო.

პოლიტიკოსის მეგობრის, ლევან ჟღენტის თქმით, პროტესტის უკიდურეს ფორმას წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფმა წულაიამ მისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად მიმართა. პოლიტიკოსის განმარტებით, მას აღნიშნული ქალი მიუგზავნეს და პროვოკაციას წამოეგო.

„ბატონმა გოგიმ შიმშილობა დაიწყო, მას სურს მისი უდანაშაულობა დაამტკიცოს. ბოდიში, მაგრამ ქუთაისიდან თბილისში სამი დღე რომ წაყვა, რა ეგონა, ჭადრაკის სათამაშოდ მიჰყავდა?!“ – განაცხადა წულაიას მეგობარმა, ლევან ჟღენტმა.

გოგი წულაია თავს პოლიტიკურ მსხვერპლად მიიჩნევს.

„შვილი სახურავიდან გადმოვარდა, მამას გული გაუსკდა“

ტრაგედია ქობულეთში

ქობულეთში 31 წლის მამაკაცი სახურავის შეკეთებისას გადმოვარდა და დაიღუპა. უბედური შემთხვევის შემსწრე მამა გულის შეტევით გარდაიცვალა.

შემთხვევა 17 მარტს, საღამოს მოხდა.

მომხდარზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 124-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

გორში მანქანა გაზონზე გადავიდა, ხეს შეეჯახა და ამოტრიალდა

გორში, სტალინის გამზირზე მომხდარ ავარიის შედეგად 3 ახალგაზრდა მამაკაცი დაშავდა. თავდაპირველად, საავადმყოფოში ერთი, ხოლო მოგვიანებით კლინიკაში დანარჩენი ორი ახალგაზრდაც წაიყვანეს.

მედიკოსების თქმით, დაშავებულების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ავტოსაგზაო შემთხვევა 17 მარტს, საღამოს მოხდა.

ერთმანეთს ორი ავტომანქანა შეეჯახა. ავარიის შედეგად ერთ-ერთმა ტრაექტორია შეიცვალა, ჯერ გაზონზე გადავიდა, მერე ხეს შეეჯახა და ამოტრიალდა.

ველისციხეში სახლში 80 წლის ქალის ცხედრის ნაწილები იპოვეს

18 მარტს ველისციხეში 80 წლის ქალის ცხედარი იპოვეს. სავარაუდოდ, ის რამდენიმე კვირის გარდაცვლილია, რადგან სახლში მხოლოდ ნაწილებს მიაკვლიეს.

ადგილობრივების ინფორმაციით, მის შვილს ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა და ედას ხშირად სცემდა.

მათივე თქმით, შვილმა ქალის გარდაცვალება არავის აცნობა. მეზობლებმა ფაქტის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს, რაც სახლიდან საშინელი სუნი გამოვიდა და ადგილზე პოლიცია გამოიძახეს.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები იყვნენ მობილიზებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

გარდაცვალების მიზეზი ექსპერტიზის შემდეგ დადგინდება.

შს მინისტრის მოადგილემ სიახლეებისა და უახლესი მონაცემების შესახებ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ, მონაწილეობა მიიღო ღონისძიებაში – „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგია: სიახლეები და უახლესი მონაცემები“.

2020 წლის 23 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გენერალურმა პროკურატურამ, უზენაესმა სასამართლომ და სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მონაცემთა ერთიანი სისტემის შესაქმნელად თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, განსაკუთრებით ბოლო წლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პოლიტიკის დონეზე იქცა პრიორიტეტულ მიმართულებად, რაზეც მეტყველებს სამინისტროს მიერ განხორციელებული არაერთი აქტივობა. ალექსანდრე დარახველიძის განმარტებით, აქტიურად მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გადამზადება დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით და ამ პროცესში უწყებას აქტიურ მხარდაჭერას უცხადებენ ადგილობრივი და უცხოელი პარტნიორები. მინისტრის მოადგილემ აგრეთვე აღნიშნა, რომ სამინისტროს თანამშრომლები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებშიც.

ალექსანდრე დარახველიძემ ყურადღება გაამახვილა ერთიანი სტატისტიკის შეგროვების შემუშავებული მოდელის მნიშვნელობაზე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ წარმოებული მონაცემები გახდეს კიდევ უფრო ზუსტი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. მინისტრის მოადგილემ, ასევე, ხაზი გაუსვა მემორანდუმის მონაწილე უწყებების ეფექტიანი თანამშრომლობის მნიშვნელობას და მსგავსი თანამშრომლობით მიღწეულ შედეგებზე ისაუბრა.

ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა ყველა პარტნიორ და დონორ ორგანიზაციას, რომლებთან თანამშრომლობის შედეგადაც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგია იქნა შემუშავებული.

ღონისძიება ევროპის საბჭოს პროექტის – „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა“ – ფარგლებში გაიმართა. აღნიშნული პროექტი 2018 წლიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი მხარს უჭერს დაინტერესებულ მხარეებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაში.

ბაიდენმა პუტინს მკვლელი უწოდა

პუტინმა ბაიდენს ჯანმრთელობა უსურვა

პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მიგრანტებს მოუწოდა, აშშ-ში არ ჩავიდნენ.

– დიახ, მე შემიძლია საკმაოდ ნათლად ვთქვა, არ ჩამოხვიდეთ. ჩვენ ახლა გადაწყობის პროცესში ვართ და ეს დიდხანს არ გასტანს. შესაძლებელი იქნება, თავშესაფარი ადგილზევე მოითხოვოთ. ასე რომ, ნუ დატოვებთ თქვენს ქალაქებსა და დასახლებებს, – აღნიშნა ბაიდენმა.

მისივე განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საფასურს გადაიხდის 2020 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევისთვის.

კითხვაზე, თუ რა შედეგები მოჰყვება ამას, ბაიდენმა აღნიშნა: „მალე იხილავთ“.

– ის გადაიხდის საფასურს. ჩვენ, მე და მას ხანგრძლივი საუბარი გვქონდა. მე მას საკმაოდ კარგად ვიცნობ. საუბრის დაწყებისას მე მას ვუთხარი – შენ მიცნობ მე და მე გიცნობ შენ. თუ დადგინდა, რომ ეს მოხდა, მაშინ მოემზადეთ, – აღნიშნა ბაიდენმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, მიაჩნია თუ არა, რომ ვლადიმერ პუტინი მკვლელია, ბაიდენმა უპასუხა:

– დიახ.

შეგახსენებთ, აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, სავარაუდოდ, გასულ წელს აშშ-ში ჩატარებულ არჩევნებზე დონალდ ტრამპის სასარგებლოდ ზეგავლენის მოხდენის ნებართვა გასცა.

15-გვერდიან დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მოსკოვი ავრცელებდა შეცდომაში შემყვან ან დაუსაბუთებელ ბრალდებებს ჯო ბაიდენის შესახებ.

პუტინი ბაიდენის განცხადებებს გამოეხმაურა.

– რაც შეეხება ჩემი ამერიკელი კოლეგის განცხადებას, რა უნდა ვუპასუხო მას? მე მას ვეტყოდი: ჯანმრთელობას გისურვებთ! მე მას ჯანმრთელობას ვუსურვებ, ირონიისა და ხუმრობის გარეშე! – აღნიშნა პუტინმა.

მოსკოვმა აშშ-ში რუსეთის ელჩი კონსულტაციებისთვის გაიწვია.

– რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები ჩიხში შევიდა! ჩვენც ანტონოვთან ერთად ამისი მიზეზები უნდა გავაანალიზოთ, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ.

ცხრასართულიანი სახლის სიმაღლიდან გადმოვარდნილი იუბილარი ცოცხალი გადარჩა

იუბილარი ამერიკის ორეგონის შტატიდან ცხრასართულიანი სახლის სიმაღლის კლდიდან გადავარდა და ცოცხალი გადარჩა.

ჯილ ტაიგი შეყვარებულთან ერთად 25 წლის იუბილეს აღნიშნავდა ჰაგ პოინტის კლდოვან ეროვნულ პარკში ექსკურსიაზე მყოფი. მათ გადაწყვიტეს გამოუკვლევი მარშრუტით გაეგრძელებინათ ექსკურსია, რომელიც მათ უსაფრთხოდ მოეჩვენათ. თუმცა უკვე გზაში მიხვდნენ, რომ ბილიკი საკმაოდ ვიწრო და დამრეცი იყო.

რაღაც მომენტში მამაკაცს ფეხი დაუცდა და 30 მეტრის სიმაღლიდან გადავარდა. მისმა შეყვარებულმა მაშველები გამოიძახა, რის შემდეგაც იუბილარი შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ ინციდენტის შედეგად მან მრავლობითი მოტეხილობები მიიღო, მათ შორის, ხელის, ცხვირის, ნეკნების, მარცხენა იდაყვის და თეძოს მოტეხილობა, მაგრამ საბედნიეროდ არ დაზიანებია ტვინი და ხერხემალი.

– უნდა ვაღიარო, რომ 25 წლის იუბილემ ყველა ადრინდელი დაბადების დღეები გადაფარა, ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, – აღნიშნა ტაიგმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სომხეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 20 ივნისს გაიმართება

სომხეთში 20 ივნისს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი სოციალურ ქსელში წერს.

„შეხვედრა მქონდა „აყვავებული სომხეთის“ ფრაქციის ლიდერ გაგიკ წარუკიანთან. შეხვედრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არსებული შიდა პოლიტიკური მდგომარეობიდან გამოსვლის საუკეთესო გზა არის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

იმ კონსულტაციების გათვალისწინებით, რაც მე მქონდა სომხეთის პრეზიდენტთან, ფრაქცია „ჩემ ნებით ჯთან“, „განათლებული სომხეთის“ ფრაქციის ლიდერთან, ედმონ მარუკიანთან, მიმდინარე წლის 20 ივნისს, რესპუბლიკაში ჩატარდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები“ – აცხადებს ფაშინიანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კიევში 3-კვირიანი მკაცრი კარანტინი წესდება

უკრაინის დედაქალაქ კიევში, კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევების ზრდის გამო, 20 მარტიდან მკაცრი კარანტინი წესდება.

ამის შესახებ კიევის მერი ვიტალი კლიჩკო ფეისბუქში წერს.

„20 მარტის 00:00 საათიდან კიევში მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები წესდება. იმიტომ, რომ ჩვენ უნდა გადავარჩინოთ ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა“ – წერს კლიჩკო.

მისივე თქმით, ახალი შეზღუდვები ძალაში 3 კვირა, 9 აპრილამდე დარჩება.

შეზღუდვების ფარგლებში დაიკეტება კინოთეატრები, თეატრები, მუზეუმები, საკონცერტო დარბაზები და სავაჭრო ცენტრები, სადაც ღია დარჩება მხოლოდ სასურსათო მაღაზიები, აფთიაქები, ზოომაღაზიების, ჰიგიენის საშუალებების და საოჯახო ქიმიის მაღაზიები, აიკრძალება მასობრივი ღონისძიებები, სპორტული ღონისძიებები კი მაყურებლის გარეშე ჩატარდება.

კვების ობიექტები მხოლოდ გატანისა და მიწოდების რეჟიმში იმუშავებენ.

ამასთან, ღია დარჩება საბავშვო ბაღები, სკოლებში კი საგაზაფხულო არდადეგების შემდეგ სწავლა დისტანციურ რეჟიმში განახლდება.

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გაგა ჩხეიძე ბრალდებებს პასუხობს

ახლა ორიოდე სიტყვით კონკრეტულად „მემატიანეს“ ფირების შესახებ: სტუდია „მემატიანეს“ ფირები ათწლეულების მანძილზე განთავსებული იყო ე.წ. ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებდა კიდეც თავად სტუდია. ფირები ინახებოდა რამდენიმე სხვადასხვა ადგილას ამორტიზებულ შენობებში. უნდა ითქვას, რომ დასრულებული დოკუმენტური ფილმები და სხვა მასალებიც დადგენილი წესით გადაეცემოდა ეროვნულ არქივს. ფაქტიურად, „მემატიანეს“ საკუთრებაში არსებული მასალის 80-90% ინახება და ხელმისაწვდომია ეროვნულ არქივში.

2005 წელს ძველი კინოსტუდიის მთელი ტერიტორია თავისი შენობა-ნაგებობებით გადაეცა „ქართული ფილმის განვითარების ფონდს“. ვინაიდან სტუდია „მემატიანე“ შემოსავლების გარეშე დარჩა, ჯერ ეროვნული კინოცენტრი და შემდეგ უკვე „ქართული ფილმის განვითარების ფონდი“ ფინანსურად ეხმარებოდა „მემატიანეს“ ფირების მოვლაში, აღწერასა და კატალოგიზაციაში და ეს პროცესი გაგრძელდა 2017 წლამდე. „მემატიანე“ და მისი ფირები არავის დაუტოვებია ბედის ანაბარა.

2017 წელს რევაზ მახათაძემ კულტურის სამინისტროში შეიტანა პროექტი დაფინანსების თხოვნით, რომელიც მოიაზრებდა „მემატიანეს“ ფირების და აუდიომასალების გაწმენდა-დამუშავებას, სკანირებას, აღწერას, დახარისხებას, კატალოგის შექმნას და, რაც მთავარია, ფირების გადატანას დიღომში, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საცავში. პროექტი, რომელიც სამინისტრომ და ეროვნულმა კინოცენტრა დააფინანსა სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმთან“ ერთად, 3 წელი გაგრძელდა და მთლიანობაში 490 565 ლარი დაუჯდა სახელმწიფოს. 2019 წელს ეს პროექტი დამთავრდა. ფირები გადატანილი იქნა დიღომში და პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდა.

2019 წლის დეკემბერში სტუდია „მემატიანემ“ განაცხადი ორწლიანი დაფინანსების მოთხოვნით შემოიტანა ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. 2020 წელს ის ითხოვდა 85 525 ლარის გამოყოფას. ეროვნული კინოცენტრის კომისიამ იმსჯელა პროექტის შესახებ, გაესაუბრა პროექტის ავტორს და უარი თქვა სუბსიდიის გამოყოფაზე იმ არგუმენტით, რომ სამწლიანი პროექტი დასრულებული და აუცილებელი ძირითადი სამუშაოები შესრულებული იყო, ხოლო ფირების აციფრვა მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით, რის დაფინანსებასაც მოითხოვდა „მემატიანე“, აღარ ჩაითვალა გადაუდებელი სამუშაოებად.

კომერციული საქმიანობის წარმოება თავად სტუდიის და „ქართული ფილმის“ ამოცანაა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პროექტში ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები იმის თაობაზე, რომ ფირები არასათანადო ვითარებაში ინახებოდა და მათ განადგურების საფრთხე ემუქრებოდა.

როგორც ჩანს, დაფინანსებაზე უარის მიღების შემდეგ მახათაძე განაწყენდა ეროვნულ კინოცენტრზე და ჩაწერა ხსენებული ვიდეომიმართვა, რომელშიც აცხადებს, რომ ფირები არასათანადოდ არის დაცული და დღითიდღე ნადგურდება. მისი ეს განცხადება ლოგიკურად წარმოშობს შეკითხვას, თუ რამდენად სწორი და გამართლებული იყო ფირების გადატანა ისეთ ადგილას, სადაც მათ ზიანი მიადგებოდა. წესით, ფირების განთავსების სივრცე მათი იქ გადატანამდე უნდა ყოფილიყო სათანადოდ მომზადებული და აღჭურვილი ტექნიკით, კონდიცირების თუ ტენიანობის დაცვის სისტემებით, ანუ ჯერ უნდა შექმნილიყო შესაბამისი რეჟიმი და მერე გადაეტანათ იქ ფირები.

ფაქტიურად, ფირების დიღომში გადატანით მან ზიანი მიაყენა სახელმწიფო ქონებას, კერძოდ, კინომემკვიდრეობას. მახათაძესთან ერთად პასუხისმგებლობა ფირების ახლანდელ სავალალო ვითარებაზე თანაბრად უნდა გაინაწილონ „ქართულმა ფილმმა“, კინოცენტრის მაშინდელმა დირექტორმა და კულტურის მინისტრმაც. ნუთუ ნახევარი მილიონით დაფინანსებულ პროექტში არ გამოინახა იმის საშუალება, რომ კინოსტუდიის საცავში ფირების შენახვის ელემენტარული პირობები შექმნილიყო? ხომ იცოდნენ, რომ მარტო სტელაჟებისა და კოლოფების ყიდვა არ იყო საკმარისი?

და ბოლოს: ეროვნული კინოცენტრი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო კინოპოლიტიკას და დიდწილად აფინანსებს კიდეც კინოპროექტების უმრავლესობას, სულაც არ არის გულგრილი „ქართულ ფილმში“ განთავსებული ფირების ბედის მიმართ. ეროვნული კინოცენტრი სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება (მომავალი) კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ეროვნული არქივი, ასევე ეკონომიკის სამინისტრო, იწყებს ინტენსიურ მუშაობას უახლოეს ხანებში მაღალი სტანდარტების შესაბამისი კინო და ვიდეოარქივის შესაქმნელად. იმედია, სულ მალე საქართველოში არსებული ყველა კინოკოლექცია სათანადოდ იქნება დაცული და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სოფო ტოროშელიძე კანადის მუსიკალური ფესტივალის მონაწილეა

მომღერალი სოფო ტოროშელიძე კანადის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის მონაწილეა. ყოველწლიური ფესტივალი ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა პანდემიის გამო, ღონისძიება მომავალი წლისთვის გადაიდო. წელს ფესტივალი მაისში ონლაინ რეჟიმში ჩატარდება.

ფესტივალისთვის სოფომ სპეციალური სიმღერა ჩაწერა და მასზე ვიდეორგოლიც გადაიღო. მომღერალმა ნამუშევარი ინტერნეტში გაავრცელა და ათასობით ადამიანის მოწონებაც დაიმსახურა.

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადო-თვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

12 წლის გოგონამ სკოლა ვადაზე ადრე დაამთავრა

ამერიკის არიზონას შტატში 12 წლის გოგონამ ვადაზე ადრე დაამთავრა სკოლა, აპირებს უნივერსიტეტში გააგრძელოს სწავლა და ნასაში მუშაობის დაწყებით კოსმოსი აითვისოს.

ალინა უიკერს პატარაობიდან უყვარდა ლეგოს კონსტრუირება. 12 წლის ასაკისთვის გოგონამ საშუალო სკოლის მთელი პროგრამა სახლში მიღებული განათლების წყალობით გაიარა. 2021 წელს კი არიზონის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელებს სწავლას.

გოგონა აპირებს განათლების მიღებას, ასტრონომიის, პლანეტარიუმის მეცნიერების და ქიმიის სფეროში. უიკერი აპირებს მუშაობა დაიწყოს ნასაში და შექმნას მოწყობილობები კოსმოსური კვლევებისთვის.

– მნიშვნელობა არ აქვს თუ რამდენი წლის ხართ, ან რის გაკეთებას გეგმავთ, აკეთეთ თქვენი საქმე, იოცნებეთ, შემდეგ კი შედეგს მიაღწიეთ, – განაცხადა გოგონამ.

მამაკაცმა გადაწყვიტა მეგობრისთვის ლატარიის თამაში ესწავლებინა და თვითონ გამდიდრდა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ოკლენდის ოლქის მკვიდრმა გადაწყვიტა მეგობრისთვის ლატარიის თამაში ესწავლებინა და 550,7 ათასი დოლარი მოიგო.

58 წლის მამაკაცმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ინტერნეტში ლატარიის გვერდზე შევიდა, რათა მეგობრისთვის ეჩვენებინა, თუ როგორ ეთამაშა ლატარია ონლაინში. ის ვერ მიხვდა, თუ რა მოხდა, როდესაც საკუთარი ბალანსი ნახა.

– როდესაც მივხვდი, რომ ჯეკპოტი მოვხსენი, გაოგნებული დავრჩი, საკუთარ თვალებს ვერ ვუჯერებდი, – ხაზგასმით აღნიშნა მამაკაცმა.

ამერიკელმა ონლაინში ლატარიის ბილეთი შეიძინა. მასში მითითებული ყველა რიცხვი გათამაშების შედეგად ამოსულ რიცხვებს დაემთხვა. რამდენიმე დღის შემდეგ ის ლატარიის შტაბბინაში მივიდა თავისი მოგების მისაღებად.

ნიანგმა მწყემსი მდინარეში ბანაობის დროს დაგლიჯა

ინდოეთის კარნატაკას შტატის ქალაქ შახაპურის მახლობლად ნიანგმა მწყემსი დაგლიჯა.

შაბათს, 13 მარტს, ნიანგმა მამაკაცი მდინარე კრიშნაში მოკლა. მოგვიანებით პოლიციამ დაადგინა, რომ დაღუპული სოფელ შარადახალის მკვიდრი, 45 წლის მწყემსი, სახელად ლაკსმანი იყო.

რეპტილია მწყემსს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის მდინარის ნაპირთან ბანაობდა. ნიანგი მას მიეპარა, პირი სტაცა და მდინარის სიღრმეში ჩაითრია.

პოლიცია და ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად მივიდნენ, მაგრამ მეცხვარის გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები



ბექა!

რა არის გაზაფხული ჩემთვის უშენოდ? უფერულია, ტკივილიანი. ოცი წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან, მაგრამ ის ტკივილი დღესაც ისევე გაუსაძლისია და მწარე, როგორც მაშინ. განა დრო შვებაა დედისთვის? არ ვიცი, როგორ შევძელი უშენობა, არ ვიცი, რა მაძლევს ძალას ვიცოცხლო შენ გარეშე, ჩემო ერთადერთო! ყველგან თან დამდევს შენი სახე, შენი ღიმილი, ფეხის ხმა, შენი დაძახება – დე, მოვედი!..

მხოლოდ მე კი არა, ყველას დააკლდი. მუდამ გიხსენებენ სიყვარულითა და სინანულით შენ – ახოვანს, უშიშარს, უღალატოს, მუდამ ღიმილიანს, უზომოდ კეთილს.

მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო! ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო ნებიერა, კოპწია ბიჭო!

დედა

გარდაიცვალა ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, ისტორიის რედაქციის წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი

ლამარა შენგელია

მან დიდი წვლილი შეიტანა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მრავალტომეულის მომზადების საქმეში. იგი იყო უაღრესად განათლებული და მიზანდასახული პიროვნება. მისი ავტორობით დაიბეჭდა რამდენიმე წიგნი, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო გამოცემა „ქართველთა ცხოვრება“. ღმერთმა ნათელში ამყოფოს.

რედაქციის თანამშრომლები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჩემპიონთა ლიგის ყველა მეოთხედფინალისტი ცნობილია

ბაიერნი-ლაციო 2:1
1:0 ლევანდოვსკი (33პ), 2:0 ჩუპო-მოტინგი (73), 2:1 პაროლო (82)

ბაიერნი: ნიუბელი, პავარი, ბოატენგი (ზულე 56), ალაბა, ერნანდესი, კიმიხი (მარტინესი 77), გორეტცკა, სანე, მიულერი (მუსიალა 71), გნაბრი, ლევანდოვსკი (ჩუპო-მოტინგი 71)

ლაციო: რეინა, მარუშიჩი, აჩერბი, რადუ, ლაძარი (პაროლო 57), მილინკოვიჩ-სავიჩი, ესკანლანტე (აკპა-აკპრო 84), ფარესი (ლულიჩი 46), ალბერტო (კატალდი 75), მურიჩი (პერეირა 55), კორეა

ბავარიელებს საქმე პირველივე მატჩში ჰქონდათ მოლეუღი, რომელიც სტუმრად 4:1 მოიგეს. ლაციო ამ ჰანდიკაპის შემომტრიალებელი რომ არ იყო, მიუნხენში გამართული მატჩის დასაწყისმაც დაადასტურა. გერმანელები უტევდნენ და შრომა დაუფასდათ.

ერთ-ერთი სტანდარტული მდგომარეობისას პენალტი დაინიშნა, რომელიც რობერტ ლევანდოვსკიმ გოლად აქცია.

მე-2 ტაიმში გოლი პოლონელის შემცვლელმა გაიტანა – ერიკ ჩუპო-მოტინგი 2 წუთის გამოსული იყო მოედანზე.

მატჩის მიწურულს „ლაციალემ“ ერთი გოლი გაქვითა და სულ ეს იყო...

ბაიერნი გახდა პირველი გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მეცხრამეტედ გავიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – დავიდ ალაბა.

ავსტრიელმა ფეხბურთელმა ჩინებულად წარმოაჩინა თავი. ალაბა დაცვის ცენტრში იდგა და მეკარე ნიუბელის ბევრი სამუშაო რომ არ ჰქონდა, მისი დამსახურებაა. ამასთან, ჩუპო-მოტინგს საგოლე პასი მანვე გაუკეთა.

ჩელსი-ატლეტიკო 2:0
1:0 ზიეჩი (34), 2:0 ემერსონი (90)

ჩელსი: მენდი, ასპილიკუეტა, ზუმა, რუდიგერი, ჯეიმსი, კანტე, კოვაჩიჩი, ალონსო (ჩილველი 90), ზიეჩი (პულიშიჩი 77), ჰავერტცი (ემერსონი 90), ვერნერი (ჰადსონ-ოდოი 83)

ატლეტიკო: ობლაკი, ტრიპიერი (ლემარი 69), სავიჩი, ხიმენესი, ლოდი (ერმოსო 46), მ.ლორენტე, კოკე, საული, კარასკო (მ.დემბელე 53), სუარესი (კორეა 59), ფელიქსი

პირველი უსახური მატჩის შემდეგ თუ ვინმეს რამე უნდა შეეცვალა, ეს ატლეტიკო იყო, რომელსაც აუცილებლად სჭირდებოდა გოლის გატანა. არადა, შესვენებამდე ტომას ტუხელის გუნდი უფრო მეტს უტევდა, ვიდრე – სიმეონესი. ჩელსი მთელ მოედანზე ფლობდა უპირატესობას და ამ ყველაფრის ფონზე ჰაკიმ ზიეჩის გოლიც ლოგიკური იყო.

სიმეონემ ვერაფრით ვერ გადააწყო გუნდი, არც შეცვლებმა იმუშავა და ჩელსი აგრძელებდა მომენტების შექმნას. ბოლოს მადრიდელები მოედანზე კაცნაკლულნიც დარჩნენ და ყველაფერი გაირკვა. თუმცა, ლონდონელებმა ბოლო ლურსმანი მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მაინც ჩაჭედეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჰაკიმ ზიეჩი.

მაროკოელი გამორჩეული ფიგურა იყო ჩელსის შემადგენლობაში. ბევრს მოძრაობდა, ქმნიდა მომენტებს, გაიტანა გოლი. გუნდში წარმატებული დრიბლინგის საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა.

მეოთხედფინალში ითამაშებენ: მანჩესტერ სიტი (ინგლისი), ბაიერნი (გერმანია), ჩელსი (ინგლისი), ლივერპული (ინგლისი), პორტუ (პორტუგალია), პსჟ (საფრანგეთი), დორტმუნდი (გერმანია), რეალი (ესპანეთი).

შედეგები

17 მარტი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბაიერნი-ლაციო 2:1
ჩელსი-ატლეტიკო 2:0

ესპანეთი.

პრიმერა დივიზიონი

სევილია-ელჩე 2:0

სატესტო ცხრილი:

1.ატლეტიკო	27	19	6	2	50-18	63
2.ბარსელონა	27	18	5	4	61-23	59
3.რეალი	27	17	6	4	46-22	57
4.სევილია	27	17	3	7	38-20	54
5.სოსიედადი	27	12	9	6	43-22	45
6.ბეტისი	27	13	3	11	36-41	42
7.ვილიარეალი	27	9	13	5	37-30	40
8.გრანადა	27	10	6	11	33-44	36
9.ლევანტე	27	8	11	8	36-35	35
10.ბილბაო	27	9	7	11	37-31	34
11.სელტა	27	8	10	9	34-40	34
12.ვალენსია	27	7	9	11	32-37	30
13.ოსასუნა	27	7	8	12	23-35	29
14.კადისი	27	7	8	12	23-42	29
15.ხეტაფე	27	7	7	13	21-32	28
16.ვალიადოლიდი	27	5	11	11	25-37	26
17.ელჩე	27	5	9	13	24-41	24
18.ალავესი	27	5	8	14	23-43	23
19.ეიბარი	27	4	10	13	21-32	22
20.უესკა	27	3	11	13	26-44	20

იტალია. სერია ა

ტორინო-სასუოლო 3:2

სატესტო ცხრილი:

1.ინტერი	27	20	5	2	65-26	65
2.მილანი	27	17	5	5	50-31	56
3.იუვენტუსი	26	16	7	3	54-22	55
4.ატალანტა	27	15	7	5	63-34	52
5.ნაპოლი	26	16	2	8	56-29	50
6.რომა	27	15	5	7	51-40	50
7.ლაციო	26	14	4	8	42-37	46
8.სასუოლო	27	10	9	8	45-44	39
9.ვერონა	27	10	8	9	36-32	38
10.უდინეზე	27	8	9	10	30-35	33
11.სამპდორია	27	9	5	13	37-42	32
12.ბოლონია	27	8	7	12	36-42	31
13.ფიორენტინა	27	7	8	12	33-42	29
14.ჯენოა	27	6	10	11	28-39	28
15.სპეცია	27	6	8	13	34-50	26
16.ბენევენტო	27	6	8	13	27-52	26
17.ტორინო	26	4	11	11	39-49	23
18.კალიარი	27	5	7	15	30-46	22
19.პარმა	27	3	10	14	25-52	19
20.კროტონე	27	4	3	20	30-67	15

ჩეხეთი. პრემიერლიგა

როტორი-როსტოვი 0:4
ახმატი-არსენალი 2:0
ცსკა-ზენიტი 2:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ისტორიული ციხე-სიმაგრე აჭარაში; 2. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 3. ამერიკელ მწერალ ო გენრის ნამდვილი გვარი; 4. წითელი ფერის ძვირფასი თვალი; 5. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 6. სამეფო კვერთხი; 9. მდინარე რიონის მარჯვენა შენაკადი; 10. ერთკუზიანი აქლემი; 11. ლიგურიის ზღვისპირა პოპულარული კურორტი იტალიაში; 14. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. დამარილებული ღორის ქონი; 18. ქსოვილების დამამზადებელი ოსტატი; 20. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 23. ფულის საერთაშორისო ერთეული; 24. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 25. კანადის დედაქალაქი; 26. პატარა ბუ.

თარაზულად: 7. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 8. უბანი თბილისში; 12. ხშირი, დაბურული ტყე; 13. ცნობილი იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი; 15. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. სასტუმრო „თბილისი მარიოტის“ ძველი სახელწოდება; 19. დასაკეცი ჯიბის დანა; 21. მდინარე პოლონეთში; 22. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 27. თანაფარდობა ნაწილებს შორის; 28. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფაუსტი; 2. გალები; 3. ტვიში; 5. ტალი; 6. ჟენევა; 8. აპნისი; 11. ტაქსაფონი; 13. არაბიკა; 14. ბაგრატი; 15. ჰოსტელი; 19. რადა.

თარაზულად: 1. ფარენგეიტი; 4. კურტაჟი; 7. ურთხელი; 9. შუშპარი; 10. შტაბი; 12. კრიჟანგი; 16. რიგოლეტო; 17. ჯანაოზი; 18. კრაისლერი; 20. ნოკაუტი; 21. გაჯი; 22. ლომბარდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხურმა; 2. დროშა; 3. ყიფშიძე; 4. კები; 5. ალია; 6. ვიოლინო; 9. ამპელოლოგია; 10. ამაშუკელი; 11. დირიჟაბლი; 14. გურჯი; 16. გრიგი; 18. რეტორტა; 20. რეცეპტი; 23. ლოტი; 24. დაზგა; 25. მატიე; 26. შინი.

თარაზულად: 7. პირომეტრი; 8. შოტლანდია; 12. დიუმა; 13. სირია; 15. სტევა; 17. რაიკონენი; 19. ეპოსი; 21. ატილა; 22. პლაცი; 27. სტრიპტიზი; 28. სტანდარტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3252

ევრო — 3.9620

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6287

100 რუსული რუბლი — 4.5490

ამინდის პროგნოზი 19 მარტისათვის

ტუჰელმა ნგოლო კანტე შეაქო

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუჰელმა ატლეტიკოსთან გამარჯვების შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელზე ისაუბრა და თქვა, რომ ნგოლო კანტე თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში:

– კანტემ შესანიშნავი თამაში ჩაატარა და ყველას კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი შესაძლებლობები. ვფიქრობ, რომ ის თავის პოზიციაზე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა და მომავალში მის შესაძლებლობებს კიდევ ბევრჯერ ვიხილავთ. კანტეს გარეშე ნამდვილად გაგვიჭირდებოდა.

ბარსელონას მემფის დეპაის ყიდვა ისევ სურს

ბარსელონას მემფის დეპაის შეძენა ისევ სურს და ეს პირადად კატალონიელების მთავარი მწვრთნელის რონალდ კუმანის გადაწყვეტილებაა, რომელიც დარწმუნებულია, რომ დეპაი მის გუნდს სარგებელს მოუტანს და ბარსელონაში წარმატებით ითამაშებს.

დეპაი დიდი ალბათობით ლიონს ზაფხულში დატოვებს, რადგან, მისი თქმით, მან ამ გუნდში თავისი შესაძლებლობები ამოწურა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

დამ მეგან მარკლს პრინცჰარისთან განქორწინება უწინასწარმეტყველა

სამანტა მარკლმა მეგან მარკლის ნახევარდამ განაცხადა, რომ პრინცი ჰარი უახლოეს ხანებში განცხადებას შეიტანს მეგანთან განქორწინებაზე.

56 წლის სამანტა, რომელსაც უკვე მრავალი წელია და არ უნახავს და მის მეუღლეს პირადად არ იცნობს, თვლის, რომ თუ წყვილი უახლოეს ხანებში არ მიიღებს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას და დიდ ბრიტანეთში არ გაემგზავრება სამეფო ოჯახის მიმართ გაჟღერებული ბრალდებების გამო ბოდიშის მოსახდელად, მაშინ ყველაფერი მათი განქორწინებით დასრულდება.

– ალბათ ჰარი უკვე საკუთარ თავს უსვამს კითხვას, სწორედ მოიქცა თუ არა, როდესაც მეგანზე დაქორწინდა, – აღნიშნა სამანტამ და იქვე დაამატა, რომ მისი და იყო და რჩება „პათოლოგიურ ცრუპენტელად“ და მისი მეუღლე ადრე თუ გვიან ამას მაინც მიხვდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

19 მარტისათვის

ვერძი – ინტრიგებს დილიდანვე ელოდეთ. დაბრკოლებები თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **კურო** – რომანტიკულ ურთიერთობებში გიმართლებთ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **გუჯები** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. ყველანაირად ხელი შეგეშლებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კირჩხიბი** – ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით ცხოვრებით. **ლომი** – კოლეგებთან ცუდი ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევებს. **ქალწული** – რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალ იდეებს ადვილად განახორციელებთ. **სასწორი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **ღრიანკალი** – ბუნების წიაღში გასვლა, ბაღში მუშაობა დაგამშვიდებთ. წაგადგებათ ფიზიკური ვარჯიშიც. **მშვილდოსანი** – თქვენთვის დამახასიათებელი კომუნიკაბელურობის წყალობით საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **თხის რქა** – მოვლენები ძალზე სწრაფად ვითარდება. ნუ გარისკავთ. ერიდეთ კომერციულ გარიგებებს. **მერწყული** – ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მთავარია, ზომიერება დაიცვათ. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა დაუშვებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, დედაშენს სიძე არ სჭირდება?

– არა, ჩვენ ჯერ პირველი სიძის ტვინის ჭამა არ დაგვისრულებია.

●●●

მათხოვარს ეკითხებიან:

– არ მოგბეზრდა ყოველდღე თავის დამცირება ხურდა ფულის სათხოვნელად იმისთვის, რომ საკუთარი უსარგებლო არსებობა გაიხანგრძლივო?

– არ ვიცი, მენეჯერად არასოდეს მიმუშავია.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იაპონური მანქანა ვიყიდე, გონებით იმართება.

– მერე, როგორია?

– ვერაფრით ხელის მუხრუჭიდან ვერ მოვხსენი...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– როდესაც ფეხბურთს ვუყურებ და ჩვენები არ თამაშობენ, ყოველთვის უფრო სუსტ გუნდს ვქომაგობ.

– რატომ?

– ვვარჯიშობ, რომ მერე ჩვენებს უკეთ ვუგულშემატკივრო.

●●●

ბარში უხასიათოდ მყოფი მამაკაცი ჭიქას ჭიქაზე ცლის. ბოლოს ბარმენმა ვეღარ მოითმინა და ეკითხება:

– რა დაგემართათ?

– ცოლს ვეჩხუბე და შემპირდა, რომ ერთი თვე აღარ დამელაპარაკებოდა...

– ჰოო, წარმომიდგენია, თავს როგორ ცუდად გრძნობ.

– ნუ იტყვი! დღეს ბოლო დღეა...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– შენ და შენი ქმარი სექსის დროს საუბრობთ?

– თუ დამირეკავს, რატომაც არა!

●●●

პატრულმა მძღოლი უმნიშვნელო დარღვევისთვის დააჯარიმა. მძღოლი ეუბნება:

– რისთვის დამაჯარიმე? არ ხარ ღირსი, რომ ავდგე და გაგინო?!

– პატრულის გინებისთვის ჯარიმაა!

– და წყევლისთვის?

– არა!

– ჰოდა, შენ გაგიხმა დედის...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ილიკო სუხიშვილს დაბადების დღეზე სიურპრიზი მოუწყვეს

ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელს ილიკო სუხიშვილს დაბადების დღეზე სიურპრიზი მოუწყვეს.

ანსამბლი გასტროლზე იმყოფება უკრაინაში. ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, მოცეკვავეებმა ცეკვა შეწყვიტეს, მუსიკოსებმა კი დაბადების დღის ცნობილი სიმღერა დაუკრეს და ყველამ ერთად იუბილარ ილიკოს უმღერა.

ილიკო სუხიშვილს დაბადების დღე მაესტრო **ნიკოლოზ რაჭველმაც** მიულოცა:

– გენიოს მეგობარს, ყველაზე გამორჩეული გულის მქონეს, ისტორიულ ხელოვანს და უძვირფასეს ადამიანს ილიკო სუხიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს!

ბედნიერი ვარ, რომ ერთ დროში მოგვაქცია ბედისწერამ და ერთადაც გვიკეთებია პროექტები, მათ შორის, მაკა ასათიანის მართლა დაუვიწყარი პანკისის ჩვენება, ქეთო და კოტე, სუხიშვილების დიდი გალა ეროვნულ ორკესტრთან ერთად, ანიტა რაჭველიშვილის „ქროს ოვერი“ ფილარმონიაში და სხვ.

ასევე წილად მხვდა დიდი სიხარული, რადგან ჩემი ორი ნაწარმოები ვნახე მისი დადგმით: „რევოლუციური ხორუმი“ და ქალთა ცეკვა „ნარნარი“ საორკესტრო თანხლებით.

კიდევ, ილიკომ და ნინომ, 30 წლის რომ გავხდი, ჩემი დაბადების დღის უზარმაზარი წვეულება თავიანთთან წყნეთში გამიმართეს და ალბათ ამაზე დასამახსოვრებელი დაბადების დღე არც მანამდე და არც შემდგომ არ მქონია...

ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარს ჩემი ილიკო, მისი ოჯახი, მისი წინაპრები, მისი ქორეოგრაფია, მისი დასი, მისი თვისებები, მისი სიკეთისა და სიყვარულის იშვიათი ნიჭი...

ღმერთს ვთხოვ, კიდევ მოხდეს რაიმე ისეთი პროექტი და არაერთხელ, რაშიც საქმიანად კვლავ გადავეკვეთებით ერთმანეთს.

ისე, დიდი ხანია დაგეგმილი გვაქვს სუხიშვილებისა და ეროვნული ორკესტრის საერთო პროგრამა და პანდემიის გადავლის შემდეგ იმედია შევძლებთ გიმასპინძლოთ!

დღეგრძელი და ჯანმრთელი მინდა იყოს, ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრებით, დიდი წარმატებებით და ღვთის წყალობით!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თემურ ცაგურია: „ნუ დაშლით შემდგარ ლამაზ ქვეყანას!“

ასეთი თხოვნით მიმართავს ქართველებს მომღერალი თემურ ცაგურია, რომელიც ამერიკაში რამდენიმეწლიანი ცხოვრების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა:

– ჩემო ტკბილო თანამემამულენო ! ორივე მხარის მიმდევრებო, გემუდარებით, ნუ დაშლით შემდგარ ლამაზ ქვეყანას! ღმერთმა არ ქნას იმ მიზეზთა შავმა ღრუბელმა დააბნელოს საქართველო, რომელმაც მილიონი ქართველი ემიგრაციაში განდევნა გასული საუკუნის 90 წლებში. სწორედ ეს განწყობა აისახა ამ ჩემს სიმღერაში, რადგან ერთ-ერთი ემიგრანტი, რომელიც მაშინ განერიდა სამოქალაქო დაპირისპირებას, მე გახლდით.

მარიკა თხელიძე გათხოვდა



მომღერალი მარიკა თხელიძე გათხოვდა. მისი რჩეული „ქართული ოცნების“ დეპუტატი გიორგი მანველიძეა.

წყვილი მილოცვებს და საუკეთესო სურვილებს მრავლად იღებს.

მარიკასთვის ეს მეორე ქორწინებაა. მომღერალი პირველად ბიზნესმენ გიგა ანდრიაძეზე იყო დაქორწინებული და მასთან ბიჭი, ნიკოლოზი ჰყავს.

გაგა ჩხეიძე ბრალდებებს პასუხობს

ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი გაგა ჩხეიძე სტუდია „მემატიანეს“ დირექტორის რევაზ მახათაძის ბრალდებებს პასუხობს:

– სტუდია „მემატიანეს“ დირექტორი, რევაზ მახათაძე წუხს „მემატიანეს“ ფირების სავალალო მდგომარეობაზე და რატომღაც ხელს იშვერს ჩემსკენ და ზოგადად ეროვნული კინოცენტრისკენ.

რევაზ მახათაძეს უნდა შევახსენო, რომ შპს „მემატიანეს“ დამფუძნებელი არის სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“, რომლის საკუთრებად ითვლება მის საცავებში დაცული ყველა ფირი. ამ ფირების შენახვასა და მოვლაზე პასუხისმგებელი სწორედ სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმია“ და აჯობებდა, მახათაძეს მათთვის მიემართა.

ეროვნულ კინოცენტრს არანაირი ვალდებულება არ გააჩნია სხვისი ქონების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო სააქციო საზოგადოების ფირების მოვლის და შენახვის.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 2. საფრანგეთის კინოაკადემიის პრიზი; 3. ინდოეთის ეროვნული გმირი; 5. აეროპორტი თელ-ავივში; 6. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი მეცნიერი; 8. ეთერზეთოვანი, სუბტროპიკული მცენარე; 11. თვითმფრინავის კორპუსი; 13. გრეიფუტის ქართული სახელწოდება; 14. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 15. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 19. იაპონური ჭიდაობა.

თარაზულად: 1. გერმანიის პარლამენტი; 4. მთიანეთი აშშ-ში; 7. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 9. მწერიჭამია ჭაობის მცენარე; 10. გეომეტრიული ფიგურა; 12. კინოცენტრი აშშ-ში; 15. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებთა პოპულარული პერსონაჟი; 17. გულის სისხლძარღვი; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 21. კოღოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა